

# ମହାବିଲି

109-୩  
ଦୁଇମାତ୍ରାଳୋକ  
ପରିଚୟ  
ମହାବିଲି

№5, 2013




## ნვენი ცყარო

მოლივლივებს, მოჩუხუხებს  
ჩვენი წეაროს ჩქერები,  
დოქით, გოკით გავიჭვევი,  
მივალ, მოვეფერები.

ტექსთან ერთად უმღერია,  
იმიტომ აქვს სხვა ძალა.  
ორასი წლის მგზავრია და  
გერაფერმა დაღალა.

დიდი ზაპის გამოუვანილს  
სოფლიდ არ ჰქავს ბადალი  
ზაფხულ – ცივი, ზამთარ – თბილი,  
საოცარი რამ არის!

სიკეთისთვის მოიმღერის;  
არც ჯაფრით, არც შურითა,  
უკვდავების წეაროდ მოსჩქეფს  
დედამიწის გულიდან!  
დაეწაფეთ, დაეწაფეთ,  
დიდ-პატარა სარობდეს,  
ღმერთო, ჩვენი წეაროსთვალი  
არ დააშრო აროდეს!



# მეგობრობის ძალა

— ნოდოლ! — ხბოსავით შეჰქბლავლა თავისი კლასის მეგობარს გიორგიმ. ნოდარმა სკოლის ჩანთა ზურგზე მოიკიდა, მშობლები გადაკოცნა და აივანზე გავიდა.

— თანდილ, მოვდივარ! — მერვე სართულიდან გადასძახა დაბლა მდგომს. ბიჭები ერთმანეთს ეზოში შეხვდნენ და ნელი სვლით სკოლისკენ გაეშურნენ. გზაში კლასელი საბა შემოუერთდათ, რომელსაც სპეციალური ბადით ფეხბურთის ახალი ბურთი მოჰქონდა. მეგობრებს სიამაყით უჩვენა და დაპირდა, სპორტის გაკვეთილზე ფეხბურთს ამ ბურთით გათამაშებოთ. ბიჭები ლაპარაკლაპარაკით სკოლაში შევიდნენ და მეორე სართულზე, თავიანთი საკლასო ოთახისენ გაემართნენ.

მაისის თვე იმ დღის დაბადებული იყო. შეუბლალავი მწვანით შემოსილ ბუნებას ციფან ღრუბლების არმადა თავს წამოსდგომოდა და არემარე გაენაცრისფერებინა. ჩიტების ჭიკჭიკიც არ ისმოდა, ირგვლივ ჩუმ სევდას დაესადგურებინა.

მოსწავლეების ურიამულის ხმა სკოლის ზარმა ჩაახშო. ოთახში კლასის დამრიგებელი, ქალბატონი ლეილა შევიდა, ბავშვებს მიესალმა და თავის მაგიდას მიაშურა. სია ამოიკითხა, შემდეგ ჩამოჯდა და წინა დღეს მიცემული დავალების შემოწმებას შეუდგა. მოსწავლეების უმრავლესობა მოთხოვნას მშვენივრად მოჰყვა, დასმულ კითხვებსაც უპასუხა.

— კარგით, — კმაყოფილმა ჩაილაპარაკა მასწავლებელმა, შემდეგ კლასს დაკვირვებით გაახედა, — ბავშვებო, თუ იცით, რა დღეა დღეს?

— პირველი მაისია, — გაისმა აქეთ-იქიდან.

— კი, პირველი მაისია, — დაეთანხმა პედაგოგი, — დღევანდელი დღე ქრისტიანული სამყაროსთვის ერთ-ერთი უმძიმესია, ამ დღეს იუდამ ქრისტე გასცა.

კლასში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდით. ბავშვები სმენად იქცნენ.


— ამ დღეს იესომ თავისი სამი მოწაფე: პეტრე, იაკობი და იოანე წაიყვანა გეთსიმანის ბალში, რათა ელოცა. ლოცვის შემდეგ მოწაფეებს მათკენ მომავალი ხალხი დაანახა: „აპა, მოახლოვდა ჩემი გამცემი“. მახვილებითა და კეტებით შეიარაღებულ ხალხს მისი მოწაფე, იუდა მოუძღოდა. იგი მივიდა იესოსთან: „გიხაროდეს, რაბი!“, — უთხრა და ეამბორა.

ამის შემდეგ შეიპყრეს ჩვენი მაცხოვარი და წაიყვანეს მღვდელმთავარ კაიაფასთან, — ლეილამ ამოიხსრა. შეჩერდა.

მთელ კლასში შინაგანმა სევდამ მოიკიდა ფეხი.

— შეხედეთ, — დამრიგებელმა ფანჯრებისკენ გაახედა ბავშვები, — ამინდიც როგორი მოწყენილია, თითქოს დღევანდელი დღის სიმძიმეს იზიარებს. ორი დღის მერე





ჯვარს აცვეს მაცხოვარი, რომელიც მესამე დღეს მკვდრეთით აღსდგა. მან სიკვდილით სიკვდილი დაამარცხა, ბავშვებო, – ბედნიერმა გადახედა კლასს.

– იუდას რა ბედი ეწია? – იკითხა დამიანემ.

– იუდამ, ბავშვებო, გაცემის საფასური ოცდაათი ვერცხლი უკან დააპრუნა, შემდეგ თავი ჩამოიხრჩო და საკუთარი სული მუდმივი ტანჯვისთვის, ჯოჯოხეთისთვის განირა. ბავშვებო, თქვენ უნდა გაიზარდოთ, დიდები გახდეთ. დაიმახსოვრეთ, რომ დამბეზღებელი, გამცემი ადამიანი ვერ გაიხარებს, გაუფრთხილდით თქვენს ლირსებას, – ზარი დაირეკა, პედაგოგი წამოდგა, დავალებად ძველი დაუტოვა და ოთახიდან გავიდა.

დღემ მშვიდად ჩაიარა. ბოლო სპორტის გაკვეთილი უნდა ჰქონდათ, მაგრამ მასწავლებლის ავადმყოფობის გამო უცდებოდათ. მოსწავლეთა უმრავლესობამ კლასი დატოვა. საბას ახალი ბურთის ხათრით ექვსი ყმანვილი ოთახში დარჩა.

– ფეხბურთი სად ვითამაშოთ? – იკითხა ნიკუშამ.

– სპორტდარბაზი ხომ თავისუფალია, – წამოიძახა პატარა გიორგიმ, რომელსაც გვარის გამო ჩაჩანას ეძახდნენ.

– მართალია, – დაეთანხმნენ მეგობრები.

ბიჭებმა ჩანთები ზურგზე მოიკიდეს და დერეფანში გავიდნენ. საბას ბადეში ჩადებული ბურთი წინ გაშვერილ მარცხენაში ეკავა და ნაბიჯმონაცვლებით ფეხს ლონივრად ურტყამდა. ბოლოს ბადემ ვერ გაუძლო დარტყმის სიძლიერეს და გაიხა. ახლა კი იგრძნო ბურთმა თავისუფლება, რამდენიმე მეტრი გაიფრინა და ფანჯრის მინას შეასკდა. სკოლაში გამეფებული სიჩუმე მინის მსხვრევის ხმამ დაარღვია.

– ვაიმე! – წამოიძახა საბამ და გახეული ბადე მოისროლა.

თითქოს მიწიდან ამოვიდაო, მანდატური იქვე გაჩნდა:

– რა ხდება?! – დაიყვირა და დამფრთხალ ყმანვილებს გადახედა, – რომელმა ჩაამტვრია მინა?! – მკაცრად მიმართა.

ბიჭებს სახეზე ალმური მოსდებოდათ, დაბნეულებს თავები ჩაექინდრათ და, თითქოს განაჩენს ელოდებიანო, გასუსული იდგნენ.

ამ ხმაურზე სამასწავლებლოდან მასწავლებლები გამოიშალნენ. მათ შორის ბიჭების დამრიგებელი, ლეილაც იყო. ქალმა მოსწავლეებს დაკვირვებით გადახედა, შემდეგ მინაჩალენილ ფანჯარას შეაცქერდა, არაფერი უთქვამს.

– ვინ ჩაამტვრია, თქვით, ვინ ჩაამტვრია? – განიწმატებული ყვიროდა ლურჯ ფორმაში გამოწყობილი მამაკაცი.

ბიჭებს თითქოს ენა ჩაეყლაპათ, ადგილზე მიღურსმულებივით იდგნენ.

– სკოლიდან გავრიცხავთ, თქვე თავხედებო, თქვით, ვინ ჩაამტვრია? – არ ცხრებოდა მანდატური, – დამუნჯდით? ამოიღეთ ხმა!

– ბატონო ალექსი, ბიჭები ფულს შეაგროვებენ და მინას ჩასვამენ, ამ ერთხელ ვაპატიოთ, – სიტუაციის განმუხტვა სცადა ლეილამ.

– არავითარ შემთხვევაში, უნდა ვიცოდე, ვინ ჩალენა ფანჯარა! – თვალები დაუბრიალა ალექსიმ დამრიგებელს, – სათითაოდ შემოხვალთ ჩემს კაბინეტში და დამინერთ, ვინ ჩაამტვრია მინა! – პირველს ხელი ნოდარს ჩაავლო და თავისი ოთახისკენ წაიყვანა.

ყმანვილმა შიშნარევად გადახედა ერთადერთ დამცველს, ლეილა მასწავლებელს, რომელმაც თავი იმედიანად დაუქნია და გაუღიმა. ბიჭი, თითქოს ეშაფოტზე მიათრევენო, ისე შეჰყვა ლურჯფორმიანს ოთახში. რამდენიმე

წუთში უკან დაბრუნდა. შემდეგი თანდილა იყო, ისიც თავჩაქინ-დრული გამოვიდა კაბინეტიდან. ჯერი საბაზე მიდგა, რომელიც თავის მეგობრებს ასლუკუნებული დაუბრუნდა. ხმის ამოუღებლად დაბრუნდნენ დამიანე, ჩაჩანა და ნიკუშა – ბიჭები დამრიგებლის ირგვლივ უჩუმრად იდგნენ და კაბინეტიდან მანდატურის გამოსვლას ელოდნენ.

წუთი წუთს მისდევდა, მაგრამ ალექსი ოთახიდან არ გამოდიოდა. ცოტა ხანში ლეილა მასწავლებელმა გაპედა და მანდატურის ოთახის კარზე დააკაკუნა:

– შეიძლება, ბატონო ალექსი? – მოწინებით იკითხა.

– მობრძანდით, – გაისმა მამაკაცის ხმა.

არ გასულა ხუთი წუთი, რომ სახეგაცისკროვნებული ქალი დერეფანში გამოვიდა და წინილებივით მობუზულ მოსწავლეებს მიუახლოვდა. აქეთ-იქიდან სხვა მასწავლებლებიც შემოეხვივნენ, შედეგი ყველას აინტერესებდა. დამრიგებელმა მარჯვენაში ჩაბლუჯული ექვსი ფურცელი მაღლა ასწია და ყველას გასაგონად ხმამაღლა წარმოთქვა:

– ექვსივემ თავისი თავი დაასახელა, მე ჩავამტვრიე მინაო!

– სიამაყისგან თვალები მოუწყლიანდა, დაიხარა და მოწაფეები გულში ჩაიკრა.



## ერთი შეკითხვა

ჩემო ხატულა გერიტებო,  
ოქვენი გამოცდა მწადია,  
აბა, თუ მეტევით, ვის უთქვამს,  
დაუწერ-დაუხატია,  
„ლებები ლომისა სწორია,  
ძუ იუას, თუნდა ხებდია!“

ელგუჯა ლეპანიძე

## წევნი ხმალი და ჭავარი

ჭეუა-გონებით იმეფა,  
განაფრცო ჩვენი მთა-ბარი,  
ქალი კი არა - ღმერთქალი,  
ჩვენი ხმალი და ჭავარი,  
ქვეუნის დიდება  
იუო იმისთვის მთავარი,  
ჭინ იქნებოდა, თუ არა,  
სწორუპოვარი .....



# ა ნ ა გ ა ლ ი

დღეს დილიდან, სათამაშო მატარებლით,  
ტკი მიდის ახლობლებთან ანას ბელი.  
რა ჰქვიაო, რას კითხულობთ, რა ჰქვია და...  
მშვენიერი სახელი აქვს: ა-ნა-ბე-ლი!  
უთით მიაქვს შოკოლადის დიდი ტორტი,  
ვაშლისა და ბროწეულის კარამელიც.  
...სიხარულით შეეგებნენ ახლობლები:  
ზაჩა დათვი, მოფუსფუსე ბებო დათვი,  
ბიძა დათვიც შეეგება (ურში გეტეგით:  
კეთილია, მაგრამ ცოტა ბედოვლათი).  
- ბებო დათვი ცხელ თონეში რას დააცხობს?  
- თაფლაკვერსა.  
- ვის მიართმევს, ხომ არ იცით?  
- ანაბეჭსა.  
- ზაჩა დათვი, ზაჩა დათვი რას აჩუქებს?  
- ფიჭით თაფლსა.  
- კიდევ, კიდევ?  
- ჭინჭებიან ტყინასა.  
- ბიძა დათვმა რას ვიზამო, მაგ ზარმაცხა?  
- მაგას ვენდოთ?  
„გავუკეთებ რკოს ზარბაზანს,  
მაცადეთო!“  
...მერე ისევ სათამაშო მატარებლით.  
ანას სახლში დაბრუნდება ანაბეჭი.

განა მარტო? სტუმრად მოჰყავს ზაჩაც, ბებოც,  
ბიძაც... ოქვენ კი დაფაცურდით,  
რაღას ელით?!

დაახვედრეთ დათვებს ცივი ლიმონათი!

მე რა მინდა? უი, გმადლობთ,  
ა-რა-ფე-რი.

# კართუანები

მზია ჩხეტიანი




\*\*\*  
— მეფე ვაარ! — ის რომ ღრიალით  
დაიქუხებს და დასძახებს,  
გარს ყველა სულდგმულს კი არა,  
ქვას და ხეს ააცახცახებს...

\*\*\*  
ვინმე ბურძგლა ბუძგურია,  
ერთობ დიდი უუმურია!  
— გულთბილ სალამს არად აგდებს,  
შენ იქნები... ის იქნება...  
გხვდება, ხელს არ ჩამოგართმევს,  
იკუმშება, იჩხვლიტება.



\*\*\*  
— ერთი შეხე ამ დრუნჩიანს,  
ეს რა სქელი ტყაპუჭი აქვს!  
— რომ შემცივდა, არ მათხოვა...  
— ალბათ გულმა არ ურჩია...  
— მე არ მიყვარს... შენც გთხოვ, მეტად  
არ მიხსენო ეგ ქვაწვია!  
— ვაახ! ტყაპუჭს რას გათხოვებდა,  
ზამთარ-ზაფხულ ზედ აცვია!..  
და ნუ ხუმრობ! ჰკითხე ამ ტყეს, —  
თუ მას ვინმე მორევია...  
რასაც დაჰკრავს, იქვე დასცემს,  
იმისთანა ტორები აქვს.

\*\*\*  
ერთი პატარა ყაჩალი  
ჩვენს სახლ-კარს შემოეჩვია,  
ჩვენს ყველ-პურს, ბურღულს,  
თხილ-კაკალს  
არაფერი არ ერჩია...  
გვძარცვავდა, როცა გვეძინა...  
და რომ გვეღვიძა, — მაშინაც,  
ვერც ერთმა გმირმა, ვაჟკაცმა,  
ვერაფრით ვერ შეაშინა...  
აგვიკლო, ხელში შეგვიკლა,  
გაგვაჩანაგა კინალამ,  
მაგრამ კნუტი რომ გვაჩუქეს,  
მას მერე ალარ გვინახავს.



\*\*\*  
წვერს კი ატარებს კაცურად,  
ნამუსის ქუდი არ ხურავს! —  
სხვის ბაღჩა-ბოსტანს აწყდება  
აშკარად, განა — მალვით!  
სულ: მეე და მეეო, ამქვეყნად  
სხვას არ დაგიდევთ არვის.

\*\*\*  
თოვლში მიხტოდა გრძელყურა,  
თავზე ქუდი არ ეხურა...  
სკუპ-სკუპით, გრძელი ნახტომით  
მალე ტყეს მიაშურა და  
ვთქვი, — ამ ყურების პატრონი  
ქუდს როგორ დაიხურავდა?



თამაზ ვებროიპე


ქული ტრადიცია მასალე კაბენ ცეკვით  
ამას განსაღები სამასალ ტრადიციული ცეკვა.

ცხოვრების გზაზე უზრუნვის მაჯინებელი  
გახდება ჩემი ან სამარტინოდ სახელებელი.

ნუ ბერძნოთ ნურც ჭრით და ნურც მითი:  
მათი ნაღრი ბერძნი შეუათითო.

უზრუნველყოფა ნამდებელი უნდა რანგი ჰითი?  
მარტინი რამათ უწევს, რად ლამაზებს არათითი.

რა უზრუნველყოფა მარტინი  
რა უზრუნველყოფა მარტინი



# თხზული

## მარი




ძალიან საყვარელი ცუნცულიკაა ჩვენი თაგუნა მაკო – თეთრი, ქათქათა, ვარდისფერი ნესტოებითა და მეტად მოხდენილი კუდით. მაკო პრანჭიკუდაა და მთელ დღეს სარკის წინ ატარებს. უამრავი ბაფთა აქვს: ჭრელი, დაწინწკლული, ვარდისფერი, ცისფერი, იისფერი... და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი. დადგება სარკის წინ და ბაფთას ხან თავზე დაისუპებს, ხან კუდზე. ყველა უხდება და მასაც უხარია. ბაფთები პეპლებივით წამოსუპდებიან და მაკოსაც თავი პეპელა ჰებონია. დახუჭავს თვალებს და ჰერი... გაჰყვება „პეპლებს“ ცისკენ. მიწისკენ არც კი იყურება, ცისკენ მიუწევს გული, თვალდახუჭული მიფრინავს თავისი ვარსკვლავისკენ... ვარსკვლავისკენ, რომელსაც ყოველდამ სოროს კუნჭულიდან შესცეკრის და შესტრფის; მოსწონს მისი სიკაშკაშე – ნეტავ, ძალიან შორს არის? – ფიქრობს მაკო, ცის ლაშვარდში იძირება... და მიფრინავს...

ტექსტის ავტორი და მხატვარი  
**დარეჯან ჭილაშვილი**

ვასილ გულაური

# მბზავი ნახსენიანი

ბიათიკული ლექსი



შორიგზიდან მოდის მგზავრი - მოაბიჯებს დინოზავრი, ზოგჯერ დახტის აცა-ბაცა, გ  
ზოგი არის უნყინარი, ზოგიერთი - აპეზარი: დიპლოდოკი  
ნოტოზია ვრი, სტე

ზოგი და დის ხმელეთზე და  
ზოგიერთი წყალში

საიმედო ჯავშა ჭურავს

იცავს მამაცუ

შო- მო-

რი

გზი-

დან

დის  
მგზა-  
ვრი



ობადეს  
ერ აღმა-დალმა ზაფის, განა-ერთი, განა-  
ცი, ტერაპოდი  
ვო ზავრი

თავს  
უკარ.  
ნიდი  
ხვლიკი  
დინო-  
ზავრი.

მხატვარი  
ლაშა სულაკაშვილი

11

# ცხრილი ცხრილი

დინოზაფირი (Dinosauria)

სამეფო - ცხრილები

ტიპი - ქორქიანები

ქვეტიპი - ხერხემლიანები

დინოზაფირი, ანუ „საზარელი ხვლიკები“ (ეს ტერმინი ინგლისელმა მეცნიერმა, რიჩარდ ოუენმა შემოიღო 1842 წელს) ჩვენს პლანეტაზე ადამიანის ნარმოშობამდე ძალიან დიდი ხნით ადრე, დაახლოებით 230-65 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდნენ.

ისინი ბინადრობდნენ სხვადასხვა საარსებო გარემოში – წყალში, ხმელეთზე და ჰაერში. ნამარხი ნაშთების აღმოჩენის შედეგად გაირკვა, რომ ზოგი დინოზაფირი უზარმაზარი იყო, ზოგი – ძალიან ჰატარა, მათი სიგრძე 20 სანტიმეტრიდან 35 მეტრამდე მერყეობდა. იყვნენ საშინელი, მტაცებელი და მშვიდობიანი, ბალაზისმჭამელი დინოზაფირები. აღმოჩენების საფუძველზე მეცნიერებმა აღადგინეს ამ ქვენარმავლების ჩონჩხი.



## დინოზაფირთა რისხვა

ტირანოზაფირი ყველაზე ძლიერი და სისხლისმსმელი მტაცებელი იყო. მას ვეებერთელა ბასრი კბილები და ბრჭყალები ჰქონდა. მძლავრი კუნთოვანი ფეხები მსხვერპლის დევნაში ეხმარებოდა, ხოლო დიდი კუდი – მანევრირებასა და წონასწორობის დაცვაში. ტირანოზაფირის საშუალო წონა 7 ტონას აღემატებოდა.

დღემდე მეცნიერები მას პლანეტის ყველაზე ძლიერ მტაცებლად მიიჩნევენ.



## გრძელკისერა ბალაზისმჭამელები

ზავრობოდები ყველაზე დიდი დინოზაფირები და, ლურჯი ვეშაპის შემდეგ, ყველაზე დიდი ცხოველები იყვნენ. მათი სიგრძე თავიდან კუდამდე 23-დან 27 მეტრამდე მერყეობდა, წონა კი 25 ტონას აღწევდა. ზავრობოდების ჯიშს მიეკუთვნებიან ბალაზისმჭამელი ბრონტოზაფირები, ბრაქიოზაფირები და ა. შ.

ბრონტოზაფირის ჩონჩხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას დანარჩენი სახეობებისგან განსხვავებული სასიცოცხლო სისტემა ჰქონდა: როგორც ჩანს, ეყრდნობოდა ოთხივე ფეხს, რომლებიც კლანჭებით კი არა, სპილოს ფეხების მსგავსად ბოლოვდებოდა. ფეხის კუნთებიც ნაკლებად განვითარებული ჰქონია და ამიტომ სწრაფად გადაადგილებას ვერ შეძლებდა. სამაგიეროდ, ზავრობოდებს კისრის და კუდის ძლიერი კუნთები ჰქონდათ. მხოლოდ ასე თუ შეძლებდნენ, დაეჭირათ გრძელი კისერი, რომლის მეშვეობითაც ყველაზე მაღალი ხის ფოთლებსაც უპრობლემოდ სწოდებოდნენ. მასიური კუდით კი წონასწორობას იცავდნენ.

# იცით თუ არა, ნომ...

მფრინავი დინოზავრები ჰაერში ცხოვრებას იყვნენ შეგუებული. თითების ნაგრძელებულ ძვლებსა და სხეულს შორის მათ ჰქონდათ საფრენი აპი. საინტერესოა, რომ მათ ფრენა მხოლოდ ქარის დახმარებით შეეძლოთ. მფრინავი დინოზავრების ნარმომადგენელი — პტერანოდონი — გაშლილი ფრთებით 9 მ-ს აღწევდა.



ხმელეთის დინოზავრების გარდა იყვნენ წყლის დინოზავრები, რომელთა კიდურებს ფარფლების მსგავსი აგებულება ჰქონდა. სტენოპტერიპუსს ჰქონდა დიდი სხეული და კარგად ცურავდა, მისი კბილებისა და ყების აგებულებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი მტაცებლები იყვნენ.



## მომღერალი დინოზავრი

პარასაუროლოფუსი ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და საინტერესო დინოზავრია, რომელსაც პალეონტოლოგები ოდესმე გადაყრიან. მას უკანა ფეხებითაც შეეძლო სიარული და ნინა კიდურების დახმარებითაც. გარდა ამ უნიკალურობისა, პარასაუროლოფუსების მთავარი უცნაურობა ცხვირის ძვალზე ამოზრდილი ჩახვეული რქაა, რომელიც მას „მომღერალ დინოზავრად“ აქცევს. მეცნიერთა ვარაუდით, ასეთი ინსტრუმენტით პარასაუროლოფუსები, ისევე, როგორც დელფინები, ულტრაბგერებით ერთმანეთთან შორ მანძილზე კონტაქტს ამყარებდნენ. როდესაც მისი ხმოვანი რქის მოდელში მეცნიერებმა ჰაერის ნაკადი გაუშვეს, რათა პარასაუროლოფუსის ბგერა მიეღოთ, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ადამიანმა მილიონობით ნლის ნინათ შეწყვეტილი ხმა პირველად გაიგონა.

სისასტიკით ცნობილი მდედრი ტირანოზავრები ძალიან მგრძნობიარენი იყვნენ თავიანთი პირმშოს მიმართ. კვერცხის დადებამდე ისინი აკეთებდნენ „ბუდეს“ და ფოთლებით ნიღბავდნენ. მომდევნო ორი თვის განმავლობაში დედა არ ტოვებდა ინკუბაციის ადგილს, საკვებზეც კი უარს ამპობდა, რადგან ბუდეს ლეშისმჭამელები ეტანებოდნენ. მას შემდეგ, რაც პატარა დინოზავრები დაიბადებოდნენ, დედა იცავდა და კვებავდა თვის პირმშოებს, მაგრამ ორი თვის შემდეგ ტოვებდა მათ.



დაზუსტებით ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, რატომ გადაშენდნენ დინოზავრები. სავარაუდოდ, ეს მოვლენა უკავშირდება გლობალურ ბუნებრივ კატასტროფას, რამაც გამოიწვია დედამიწაზე კლიმატის ცვლილება. შედეგად, ფლორისა და ფაუნის ბევრი სახეობა გადაშენდა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ დინოზავრების ამონტებისა და გადაშენების მიზეზიც მცენარეული საფარისა და კლიმატის შეცვლა და სხვა არახელსაყრელი ფაქტორები გახდა.

# ზარღუნების გეგევი

ოდესლაც ესპანეთში ცხოვრობდა ბოჩოლა, სახელად ფერდინანდი.

სხვა ხბოები რომ გამუდმებით დარბოდნენ, ხტუნავდნენ და ირქინებოდნენ, ფერდინანდს წყნარად ყოფნა და ყვავილთა სურნელით ტკბობა ერჩია.

საძოვარზე კორპის ხის ქვეშ ჰქონდა საყვარელი ადგილი შერჩეული. შეეძლო, საათობით მის ჩრდილქვეშ მჯდარიყო და ყვავილების სურნელით დამტკბარი ჰაერით ესუნთქა. ხანდახან დედიკო, ჭრელი ძროხა, შეშფოთდებოდა ხოლმე: წუხა, ასე განმარტოებით რომ იყო მისი შვილი.

— რად არ დარბიხარ და არ თამაშობ სხვა ხბოებთან ერთად? არც ირქინები და არც ხტუნავ...

მაგრამ ფერდინანდი მხოლოდ თავს გადააქნევდა:

— ასე უფრო მომწონს — ყვავილების სურნელში წყნარად ყოფნა მირჩევნია.

და დედაც მშვიდდებოდა. იგი კეთილი და ყველაფრის გამგები დედა იყო, თუმცა ძროხა ერქვა, მაგრამ ხვდებოდა, რომ მისი შვილისთვის ჯობდა, იქ ყოფილიყო, სადაც უკეთ გრძნობდა თავს.

დრო გადიოდა, ფერდინანდი გაიზარდა და ძალიან დიდი, ძალიან ძლიერი ხარი გახდა.

დანარჩენი მოზვები, ყოველდღე მასთან ერთად საძოვარზე რომ ბალახობდნენ, რქენაში ვარჯიშობდნენ, შუბლით ეხეთქებოდნენ და რქებს ფერდებში უყრიდნენ ერთმანეთს, იმ მშვენიერ დღეზე ოცნებობდნენ, მადრიდში ხართა ბრძოლებზე ნასაყვანად რომ შეარჩევდნენ.

ფერდინანდი კი ძველებურად კორპის ხის ქვეშ იჯდა და ყვავილთა სურნელით ტკბებოდა.



და აი, ერთხელაც უცხო კაცები გამოჩნდნენ. ხუთნი იყვნენ.

თავზე სასაცილო ქუდები ეხურათ — ბრძოლისთვის ყველაზე დიდი, ყველაზე სწრაფი და ყველაზე მძვინვარე ხარი უნდა შეერჩიათ.

ხარებმა სირბილი, რქენა და ხტომა ინყეს, რათა ეჩვენებინათ, თუ რა ძლიერი, ყოჩალი და მრისხანე იყო თითოეული და რომ სწორედ ისინი უნდა მონა - ნონებოდათ.

ფერდინანდმა კი იცოდა, რომ არავინ მიაქცევდა ყურადღებას. მისთვის ეს ისედაც სულ ერთი იყო, ამიტომ მშვიდად გაემართა საყვარელი კორპის ხისკენ და ჩრდილქვეშ მოიკალათა.

ეს კია, არ დაუხედავს, რაზე წამოწვა და იმის ნაც-



ვლად, რომ ნაზ, გრილ ბალახზე წამოკოტრია-  
ლებულიყო, ბზიკს დააწვა.

თქვენ რომ ბზიკი იყოთ და ხარი დაგაწვეთ,  
რას იზამთ?

რაღა თქმა უნდა, უკენთ და ბზიკმაც ფერ-  
დინანდს მნარედ უკბინა.

ო, რა მნარედ უკბინა!!!

ო, როგორ ემნარა!!!

ფერდინანდი საშინელი ბლავილით წა-  
მოხტა!!..

ისე ქშენდა და სტვენდა, ისე ხტუნავდა  
და რქებითა და ფლოკვებით ისე თხრიდა მი-  
ნას, გეგონებოდათ ეშმაკეულიაო...

გაცოფებული ფერდინანდის დანახვაზე კაცებმა აღტაცებით შეჰყვირეს:

– აი ის, ყველაზე დიდი და მრისხანე ხარი! სწორედ ასეთი გამოდგება მადრიდში...

ფერდინანდი ოთხთვალაში ჩასვეს და მადრიდს გაამგზავრეს, რათა ხართა ბრძოლის დღის-  
თვის მიესწროთ.

დიდებული დღეც გათენდა! დროშების ფრიალით, ორკესტრის ბრაზუნით! ლამაზმანებს  
თმებში სურნელოვანი ყვავილები ჩაეწნათ...

საზეიმო მსვლელობა გაემართა არენისკენ, სადაც ხართა ბრძოლა უნდა გამართულიყო.

პირველი ბანდერილიერობი გამოჩნდნენ, წვეტიანი და ფერად-დერადი ბაფთებით მორთუ-  
ლი დაშნებით. ეს დაშნები ხარისხთვის ფერდში უნდა ჩაესოთ გასაბრაზებლად. მათ მოჰყვებოდ-  
ნენ გაძვალტყავებულ ცხენებზე ამხედრებული პიკადორები, რომელთაც გრძელი შუბები მოე-  
მარჯვებინათ ხარის დასაჩველეტად და გასამნარებლად.

სულ ბოლოს მატადორი მოაბიჯებდა ამაყად – ნამდვილი ვაჟკაცი, რომელიც დროდადრო  
მშვენიერ ქალბატონებს თავის დაკვრით ესალმებოდა. მას მენამული მოსასხამი მოეხურა, ხო-  
ლო ხელთ დაშნა ეპყრა წარმოდგენის ბოლოს ხარის გასაგმირავად.

დასასრულ ხარიც გამოჩნდა.

აბა, თუ მიხვდებით, რომელი ხარი იყო?

რაღა თქმა უნდა, ფერდინანდი...

ახლა მას ფერდინანდ-სასტიკი ერქვა და ყველა ბანდერილიეროს, ყველა პიკადორს ეშინოდა  
მისი, მატადორსაც კი შიშით გული მისდიოდა... .

ფერდინანდი არენის შუაგულში გამოიჭრა. პუბლიკამ ერთხმად იხუვლა და ტაში შემოჰკრა.  
ყველა ელოდა, რომ გაავებული ხარი რქებით გადათხრიდა მთელ მოედანს...

მაგრამ ფერდინანდმა შუაგულ არენიდან თვალი მოჰკრა მშვენიერ ქალბატონთა თმაში ჩაწ-  
ნულ ყვავილებს, იქვე, ქვიშაში ჩაიკეცა და ყვავილთა სურნელი ღრმად შეისუნთქა.

მას არ სწადდა არც ბრძოლა და არც სისასტიკე!..

რამდენი არ უჩიჩხინეს, მაინც იჯდა და ყვავილების სურნელით ტკბებოდა.

ბანდერილიერობი სულ გამწვანდნენ ბრაზისგან, პიკადორები აღშფოთებისგან გაგიუდნენ,  
ნაწყენი მატადორი კი მრისხანედ გაჰყვიროდა – მან ხომ ვერც მენამული მოსასხამი ააფრიალა

და ვერც ბრწყინვალე დაშნის ტრიალით მოიწონა თავი.

ბოლოს და ბოლოს ფერდინანდი უკან დააბრუნეს.

რამდენადაც ვიცი, ახლა ძველებურად თავისი საყვარე-  
ლი კორპის ხის ქვეშ ზის და ყვავილთა სურნელით ტკბება.  
და ის ბედნიერია!

თარგმნა მანანა თავზარება

# რომანიზ კუთხის გადასაცემი




ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასი წლის წინათ ბაბილონელები და შუმერები იყენებდნენ ლურსმულ დამწერლობას, სადაც ნებისმიერი რიცხვის ჩასანერად მხოლოდ ორი ნიშანი იყო საკმარისი. კარგად მოზელილ თიხის „ფურცლებზე“ ლურსმნით ადვილად კეთდებოდა ნაჭდევი, რომელსაც სოლის ფორმა ჰქონდა. ამის შემდეგ წარნერებიან ფირფიტას გამოწვავდნენ ლურმელში. სწორედ ასეთმა ათასობით ფირფიტამ მოაღწია ჩვენამდე.

ვერტიკალური სოლი ▶ ათეულს აღნიშნავდა, ჰორიზონტალური – ათს, ◀◀◀ – ასე აღინიშნებოდა რიცხვი 12. ბაბილონელები და შუმერები თვლის სამოცობით სისტემას იყენებდნენ,

ამიტომ ათეულობის წინ მოთავსებული ყოველი ვერტიკალური სოლი აღნიშნავდა 60-ეულებს, მაგალითად, ▶▶▶◀◀▶▶▶ ეს ჩანაწერი ნიშნავდა  $3 \times 60 + 2 \times 10 + 3 = 203$ .

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისისთვის, ცენტრალურ ამერიკაში მაიას ტომები სარგობლობდნენ თვლის ხუთობით-ოცობითი სისტემით. რიცხვების აღსანიშნავად შუმერების მსგავსად ისინიც იყენებდნენ მხოლოდ ორ სიმბოლოს, ოლონდ ტირეს და წერტილს: ტირე ხუთს აღნიშნავდა, წერტილი – ერთს.

მაგალითად, ▬ – ეს არის 7, ┌ – ეს არის ცამეტი; └ – ასე რიცხვი თექვსმეტი აღინიშნებოდა. უფრო დიდი რიცხვების ჩასანერად სართულებიან გამოსახულებას იყენებდნენ. ზედა სართულებზე აღნიშნული რიცხვი ოცეულების რაოდენობას გვიჩვენებდა. აქ └ ორი რიცხვია მოცემული, ზემოთ არის 13, ხოლო ქვემოთ – 11. ზედა რიცხვი



## ჩილდენს ათასი

შეავსე კვადრატი რიცხვებით, თუ ცნობილია, რომ მათი ჯამი ვერტიკალურ, ჰორიზონტალურ და დიაგონალურ ხაზში თანაბარია და უდრის 279-ს.

<b>63</b>		<b>34</b>		<b>47</b>	<b>52</b>
	<b>60</b>	<b>35</b>	<b>49</b>		<b>53</b>
<b>59</b>	<b>37</b>			<b>55</b>	<b>48</b>
<b>36</b>		<b>61</b>	<b>45</b>		<b>43</b>
	<b>33</b>		<b>40</b>	<b>42</b>	<b>44</b>
<b>32</b>	<b>64</b>			<b>46</b>	<b>39</b>

ოცეულების რაოდენობას გვიჩვენებს, ამიტომ ეს რიცხვი ასე იშიფრებოდა:  $13 \times 20+11=271$ . უფრო დიდი რიცხვებისთვის წესები უფრო რთულდებოდა.

თანამედროვე ციფრები ძველ ინდოეთში გამოიყონეს, რომაულ ნუმერაციაში პირველი სამი რიცხვი ასე აღინიშნება: I, II, III.

ინდოელებიც თითქმის ანალოგიურად, ოდნავ განსხვავებით აღნიშნავდნენ ამ რიცხვებს: I, II, III. დროთა განმავლობაში ჰორიზონტალურმა ხაზებმა ასეთი სახე მიიღო: I, II, III. საიდანაც უკვე კარგად ჩანს ამ რიცხვების თანამედროვე მოხაზულობის კონტურები.

თანამედროვე ციფრები გაჩნდა ძველ ინდოეთში უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში. იმ სწავლულების სახელები, რომლებიც ამ უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩენის სათავეებთან იდგნენ, კაცობრიობისთვის ცნობილი არ არის.

ინდური ნუმერაცია მოსახერხებელი გამოდგა არითმეტიკული ოპერაციების შესრულებისას. არაბებმა მაშინვე გადაიღეს ეს ციფრები და ისინი ჯერ VII-VIII საუკუნეების არაბ სწავლულთა ხელნაწერებში გამოჩნდა, შემდეგ კი მთელ აზიაში გავრცელდა. X-XIII საუკუნეებში ამ ციფრებმა ევროპამდეც მიაღწია, მაგრამ ევროპელებმა ვერ შეძლეს გაეთავისებინათ ის უდიდესი უპირატესობა, რაც ინდურ ნუმერაციას აქვს სხვა ნუმერაციებთან შედარებით. მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისისთვის (ნარმოუდგენლად დიდი დაგვიანებით) აღიარეს ის ევროპაშიც და დაიწყეს მისი გამოყენება.

საბოლოოდ ციფრებმა მიიღო ის მოხაზულობა, რომელიც ყველა ჩვენგანისთვის არის ცნობილი, ხოლო სულ ბოლოს შეიმუშავეს ციფრების ელექტრონული ვერსიაც. ეს არის ციფრების მოხაზულობა, რომელსაც ყოველდღე ვხედავთ მეტროპოლიტენის სადგურებში, ავტობუსების გაჩერებების ელექტროტაბლოზე, მიკროკალულატორის ეკრანზე.

მხატვარი თეა მიქაია



## • ათასობისი

შეხედე, როგორ მოხერხებულად უონგლიორობს სამი ერთნაირი კუბით კლოუნი, რომლის თითოეულ გვერდზე წერია ციფრები 1, 2, 3, 4, 5, 6. გამოიცანი, რა ციფრი წერია კუბების ქვედა გვერდებზე.



# რაჭალებულის



პატარა გოჭუნას 5 წელი შეუსრულდა, დედა ღორმა შვილს დაბადების დღე გადაუხადა და სტუმრებიც დაუპატიჟა. სამმა სტუმარმა ერთნაირი საჩუქრები, წითელი, მწვანე და ლურჯი ქუდები და კაშნები მოუტანეს იუბილარს, განსხვავება მხოლოდ ფერში იყო.

ბაყაყმა ქუდი და კაშნე ერთნაირი ფერის აარჩია, ძროხის საჩუქარში წითელი ფერის არაფერი იყო, ხოლო ვირუკელამ აჩუქა მწვანე ფერის ქუდი და განსხვავებული ფერის კაშნე?

რომელმა რა ფერის ქუდი და კაშნე მოუტანა საჩუქრად გოჭუნას დაბადების დღეზე?





ესტრონიკა

ქონსტანტინე

სტეფანი

კედრი





## ბების პატიოლოგია

ისე მიუყარსართ, ისე,  
მიჭირს გრძნობების ახსნა,  
თქვენ სართ ცხოვდების აზრი,  
სიკელისაგან დახსნა.

მიუყარსართ მთელი გულით,  
მინდა გახსოვდეთ მარად,  
მაგრამ უკრ გხელავთ სძირად  
და ეს გულში მაქვს დარღად.  
რა შემიძლია მეტი:  
გლოცავთ ღრითა და ღამით  
და მაღლა უფასოს შეეთხოე  
წმინდა გაბეჭუროთ წყალი.  
**თქვენი ბებო**

მთავარი რედაქტორი: დოდო ნივნივაძე  
ნახატი ყდაზე: ლაშა სულაკაურის

უურნალი გამოდის ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანავობა „ედემის“ ფინანსური მხარდაჭერით

<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com  
ფასი: 2 ლარი

ISSN 0132-5965

